ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6245985

ნომერი: AR1928836

თარიღი : 18.10.2022

გაცემის თარიღი : 12.12.2022

გაცნობის თარიღი : 12.12.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 29;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჟორჟოლიანი პ/ნ 01024089687
- საქართველო, ქალაქი თბილისი, საირმის ქუჩა, კორპუსი 10, ბინა 69

ნომენკლატურა :

- მაღაზია
- III კლასი
- მზიდი ელემენტების, საყრდენი კედლის, დაზიანებული კედლის ან/და შენობის გამაგრება
- პროექტის შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო ობიექტი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ჟორჟოლიანი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: ჟორჟოლიანი

.სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1280.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 227.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 468.0
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 94.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 227.0
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 95.0
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 52.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1356.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 791.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 565.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 6.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 5.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 226
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 478
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 18 ოქტომბრის №AR1928836 განცხადებით მომართა გურამ ჟორჟოლიანმა და მოითხოვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №29-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.01.022.134) არსებული შენობის (მაღაზია) რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის შესაბამისად, ვრცელდება საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა 3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 ნოემბრის განჩინებით საქმეზე №3/2783-19 შეჩერებულია ქალაქ თბლისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკის იმ ნაწილის დამტკიცების ნაწილში, რომლითაც დიღმის ტყე პარკის ტერიტორიაზე (დავით აღმაშენებლის ხეივანს, გ. ჭოხონელიძის, ლუბლიანას და ს. ახმეტელის ქუჩებს შორის არსებული ტერიტორია) დადგენილია საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა 3.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია ყვება სწორედ ზემოაღნიშნულ არეალში, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს 2022 წლის 18 ოქტომბრის №AR1928836 განცხადებაზე წარმოდგენილი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.